ისლამი და სიმბოლოები

ISLAM
ISLAM
ISLAM

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

ისლამი და ხიმნოლოგია

2

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

ისლამი და სიმბოლოები	7
რელიგიური სიმბოლო ეზანი	20
ჩვენი საერთო გული- მეჩეთები	29
ქააბა	39
ჰაჯის სიმბოლური მნიშვნელობა	43
ყველაზე დიდი შეხვედრა	51
მსხვერპლი	56

muslimgeorgia
muslim georgia foundation for charity and culture
muslim international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ისლამი და სიმბოლოები

კითხულობენ: დრ. იუქსელ სალმანი

რა არის სიმბოლო, რას მოგვიწოდებს?

სიმბოლოს ხსენებისას წლების წინ წაკითხული წიგნი მახსენდება. პატარა წიგნი იყო, მაგრამ შინაარსი საკმაოდ ტევადი ჰქონდა. „ჰომო სემიოტიკუს“, ასე ერქვა წიგნს. ადამიანი სიმბოლოებით არსებობს, ამბობდა ის წიგნი. რასაც ჩვენ სიმბოლოს ვუწოდებთ, როგორც ამ წიგნში უნდა მოგითხროთ, კონკრეტული რაიმის არსებით მნიშვნელობაზე ფოკუსირებაა. რისი გაგებაც დღის წესრიგში დგება, ყველაფერი სიმბოლოს მნიშვნელობას ატარებს. როგორც იმ წიგნშია მოთხრობილი, ადამიანი საგნებს მნიშვნელობას აკუთვნებს. ის ცალკეულ საგნებს სახელებს არქმევს. ამ სახელით საგანი რაობას იძენს. მოგვიანებით თუ ადამიანი ამ საგნის რაობას რაიმეს დაუმატებს და ახალ მნიშვნელობას შესძენს, საგნის მნიშვნელობა და თვისებები გაიზრდება, გაღრმავდება და მისი

რაობა იმდენად შეიცვლება, რომ თავდაპიველად შერქმეული სახელი სიმბოლოდ იქცევა. ამრიგად ადამიანი სიმბოლოებითა და ნიშან-თვისებებით ურთიერთობს. აღნიშნულ მდგომარეობა ლინგვისტური თეორიებიც განიხილავენ. კომუნიკაციისათვის ადამიანები ნიშნებსაც იყენებენ და ამგვარი ნიშნების ენა სიმბოლოებისა და ნიშნებისაგან შედგება.

ნიშნები გარკვეულ მნიშვნელობებს გამოხატავენ. უძველესი ხანიდან მოყოლებული, როცა ადამიანმა საგნების გამოყენება დაიწყო, როცა ერთიმეორესთან კომუნიკაციის დამყარება იწყებოდა, ადამიანი საგნებს სახელებს არქმევდა და გარკვეულ მნიშვნელობას აკუთვნებდა. ის ჭეშმარიტებიდან გადატანითი მნიშვნელობისკენ იღებდა გეზს. ამ ყველაფერს კი სიმბოლოების გამოყენებით აკეთებდა. სინამდვილეში სამყაროც ერთ-ერთი სიმბოლოა, ნიშანია.

ის რაღაცაზე მიგვანიშნებს. ეს არის დიადი გამჩენის, ღმერთის ნიშანი. სამყაროზე დაკვირვებისას ვხვდებით, რომ მთელი სამყარო, ცა, ვარსკვლავები, მზე, მთვარე, წვიმა, თოვლი, მთები, მთელი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება რაღაცის მიმანიშნებელია. ადამიანი მხოლოდ ფიზიკურ სამყაროს კი არ აძლევს მნიშვნელობას,

ის მეტაფიზიკურ სამყაროსაც აღიქვამს და აზრს სძენს. ადამიანი მაგალითებისა და სხვადასხვა თქმულებების საშუალებით მეტაფიზიკური სამყაროს გაგებასა და სხვებისთვის გადაცემას ცდილობს. საკითხს ცოტა უფრო ღრმად თუ განვიხილავთ, შუამავლების მიერ მოტანილი ინფორმაცია, პირდაპირ მეტაფიზიკური სამყაროს შესახებ ცნობებს წარმოადგენს.

ყურანში ტრადიციებისა და სიმბოლოების შესახებაა მოთხრობილი, შეგიძლით ეს უფრო განგვიმარტოთ?

ყოველ ადამიანს, ისევე როგორც ყველა საზოგადოებრივ ერთეულს და სარწმუნოებრივ სისტემას მისთვის მახასიათებელი ნიშნები და სიმბოლოები გააჩნიათ. ყოველი რელიგიისთვის დამახასიათებელი რელიგიური რიტუალები, ფაქტიურად ამ რელიგიისთვის დამახასიათებელი ნიშნები და სიმბოლოებია. მაგალითად, ისლამში ნამაზი ერთ-ერთი ასეთი სიმბოლოა. ნამაზი მუსლიმებისთვის დამახასიათებელი ღვთისმსახურების ფორმა და სიმბოლოა. მუსლიმის მიერ ნამაზზე დგომა, რუქუ, სეჯდე, ყოველი მოძრაობა ცალკეული სიმბოლო და გამოხატულებაა. გარდა ვიზუალური ფორმისა, ყოველ მოძრაობას თა-

ვისი მნიშვნელობა გააჩნია. რა არის ეს მნიშვნელობა? ეს არის ღმერთის მიმართ თაყვანისცემა, მისდამი ვედრება, ღვთისმსახურება. როდესაც ვსაუბრობთ, რომ ნამაზი ისლამის ერთ-ერთი სიმბოლოა, აქ ვიზუალურთან ერთად მის შინაგან მნიშვნელობასაც ვგულისხმობთ.

მსხვერპლშეწირვაც ერთ-ერთი სიმბოლოა. ჩვეულებრივი თვალით რომ შევხედოთ, მსხვერპლის შეწირვა სამსხვერპლე პირუტყვის დაკვლას, მისი სისხლის დაღვრას და გამჩენზე შეწირვას გულისხმობს, მაგრამ მის მიზანს თუ გავაანალიზებთ, ეს არის ღმერთის კმაყოფილებისთვის გაწეული ღვთისმსახურება, შეწირვა და სხვათა დახმარება. ამიტომაა ყურანში ნაბრძანები, რომ მსხვერპლის არც ხორცი დაა რც სისხლი არ მივა ღმერთთან, მასთან მხოლოდ ჩვენს მიერ შესრულებული ღვთისმსახურება მიდის. ეს ეხება ყველა სახის ღვთისმსახურებას. მცენარეების და ცხოველთა სამყარო ადამიანთა მოხმარებისთვისაა გაჩენილი, ღმერთმა ასე გააჩინა, ამიტომ მათით სარგებლობა სავსებით ბუნებრივი რამაა. შესაბამისად მათით სარგებლობა ცოცხალი არსების სიცოცხლის მოსპობათ არ უნდა ჩაითვალოს. შეწირვის დროს ადამიანს საკუთარი ინტერესების მიღმა კიდევ სხვა მიზნები ამოძრავებს,

რის გამოც აღნიშნული ქმედება რელიგიურ სიმბოლოდ ითვლება.

სარწმუნოება ყოველთვის გვაფრთხილებს, რომ ჩვენ თავად სიმბოლოები კი არ უნდა მივიჩნიოთ მთავარ მიზნად, არამედ ის მიზნები უნდა გვახსოვდეს, რითიც ამა თუ იმ სიმბოლოს შესრულებით გვსურს, რომ მივაღწიოთ.

მაგალითად ჰაჯი სიმბოლოებით ყველაზე მეტად დატვირთული ღვთისმსახურებაა, ასე არ არის?

რა თქმა უნდა. ჰაჯი არის ღვთისმსახურება, რომელსაც ყველაზე მეტი სიმბოლო გააჩნია. უფრო მეტიც, ის სიმბოლებისგან შემდგარი ღვთისმსახურებაა. ყურანშიც არის ნაბრძანები, რომ საფასა და მერვეს გორაკებს შორის მიმოსვლა ღვთით დადგენილი სიმბოლოა. ჰაჯის დროს შესრულებული ყოველი რიტუალი სიმბოლურია და თავის მნიშვნელობას ატარებს. ამ სიმბოლოებით ღმერთი ჩვენ მის ძირითად მნიშვნელობას გვახსენებს. ეს არის სიმბოლოები, რითიც ჩვენ შუამავალ აბრაამის ღვთისმსახურებას ვიხსენებთ.

მისალმებაც სიმბოლოა?

სალამიც ასეა. მისალმების ფორმა და ამასთანავე ის ფაქტი, რომ „სელამ“-ი ღმერთის ერთ-ერთი სახელია, ადამიანებს შორის კომუნიკაციის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს და ასევე მეტაფიზიკურ მნიშვნელობასაც სძენს. გამომდინარე აქედან მისალმება მხოლოდ ორ პიროვნებას შორის სიტყვიერ კომუნიკაციას ან მანერებით გამოხატულ ფიზიკურ ქმედებას არ ნიშნავს. ამ ქმედებით ადამიანი თავის ერთგულებას, სანდოობას, თავის დადებით დამოკიდებულებას მეორე მხარეს გადასცემს. როდესაც ადამიანს ვესალმებით და თან ღმერთის სახელს ვახსენებთ, მეტაფიზიკური ხაზით ჩვენს დადებით დამოკიდებულებას მეორე მხარეს გადავცემთ.

ეზანი სხვადასხვა ტონალობით, სხვადასხვა ადგილას იკითხება, მაგრამ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში თივისი მნიშვნელობით მუსლიმთა შორის საერთო სულს და ძლიერ ერთიანობას წარმოშობს. ეს ძალიან ძლიერი გზავნილია.

მოდით, ასე ვიფიქროთ: ეზანი არის მედინაში წარმოშობილი ერთგვარი შეხმია-

ნება მლოცველებზე, რათა ისინი სალოცავად მეჩეთში მისულიყვნენ. მლოცველებზე შეხმიანების ფორმებს ეძებდნენ მუსლიმები და ზოგმა ის სიზმარში ნახა, ზოგმა კი უბრალოდ იგრძნო, მაგრამ ეზანში არსებული სიტყვები, მათი მნიშვნელობა, სტილი და ტონალობა მუსლიმებისთვის საერთო ნიშნად და სიმბოლოდ იქცა. საუკუნეების განმავლობაში მუსლიმები ერთი და იგივე ძახილს ყურს უგდებენ, ერთნაირად გრძნობენ და საერთო ატმოსფეროს ქმნიან.

და ქააბა?

ქააბას თუ შევხედავთ ქვით ნაგები კუბური ფორმის ნაგებობაა. გარკვეული სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნაგებობა... ჰაჯერულ ესვედი, აბრაამის „მაყამი“... ეს ყველაფერი ქვებია. ისინი ქვებითაა მოპირკეთებული და ქვებით ნაგები. თუმცა ისინი თავიანთი მნიშვნელობით გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ქვები. ქააბა არ არის მხოლოდ სახლი. ის ღმერთის სახლია. ყველა მუსლიმისთვის ის ღმერთის სახლია. ქააბას ხსენებისას სულ სხვა გრძნობა გვეუფლება. ასევე განსხვავებულია ის ძახილი, რითიც ქააბა გვეხმიანება. რა თქმა უნდა, როცა ვამბობთ რომ ის ღმერთის სახლია, ეს იმას არ ნიშ-

ნავს, რომ ის ღმერთის საცხოვრებელი ადგილია. ასევე ცნობილია „ბეითულ მამურ“, რომელიც მეტაფორიულად ნიშნავს სახლს, სადაც მთელი სამყაროა გაერთიანებული. მუსლიმები „სახლის ხალხია“. მაგალითად, დასავლეთში უსახლკარო ადამიანებს, რომლებიც ქუჩებში, სკვერებში, ხიდის ქვეშ, ბანკის წინ და სხვადასხვა ადგილებში ათევენ ღამეს, „ჰოუმლეს“, ანუ უასახლკაროს ეძახიან. იქნებ ჩვენ ესოდენ დიდ მნიშვნელობას იმიტომ ვანიჭებთ სიმბოლოებს, რომ ეს სიმბოლოები ჩვენთვის ერთგვარ „სახლს“ წარმოადგენს. ეს სიმბოლოები რომ დავკარგოთ უსახლკაროდ დავრჩებით. მუსლიმები ნამაზით, მარხვით, მსხვერპლშეწირვით, ჰაჯით, ეზანით და სხვა სიმბოლოებით საკუთარ სახლებს აშენებენ. ისინი აგებენ ისეთ სახლებს, სადაც უსაფრთხოდ არიან. ამ ყველაფერს, ფიქრს, აზრს, რწმენას და ღირებულებებს ვინც დაკარგავს უსახლკაროდ დარჩება.

გამომდინარე აქედან, სიმბოლოების დაცვა ერთგვარი უსაფრთხოებაა?

სახლის დაცვა საკუთარი უსაფრთხოების დაცვაა. სიმბოლოების დაკარგვა გზის მაჩვენებლების დაკარგვას ნიშნავს. ამიტომაა, რომ სიმბოლოებით ნაგები სახლის

სიმტკიცე უნდა შევინარჩუნოთ. სიმბოლოების უგულებელყოფა, მათი მნიშვნელობის გაუბრალოების მცდელობა სახლის დაცარიელებას გამოიწვევს. ჩვენს ფიქრებს, აზრებს, რწმენასა და ღირებულებს თავიანთი სახლი გააჩნიათ. თუ მათ დავკარგავთ, დავკარგავთ სახლს და უსახლკარონი ვიქნებით.

გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნამდვილი უსახლკარონი ისინი არიან, ვინაც სიმბოლოები და მათი ღირებულებები დაკარგა და არა ისინი, ვისაც სახლი არ აქვს?

ადამიანს რომ სახლი თავზე დაენგრევა მისთვის ეს ყველაზე ცუდი რამაა. როდესაც ადამიანს რაიმე დიდი უბედურება დაატყდება თავს, ის ამბობს „სახლ-კარი თავზე დამექცა“. ადამიანები დიდ პანიკაში ვარდებიან, როდესაც მიწისძვრის დროს სახლები ენგრევათ. სახლის დანგრევა ერთ-ერთი ყველაზე საშინელი უბედურებაა, რაც შეიძლება ადამიანს თავს დაატყდეს. გამომდინარე აქედან, სიმბოლოების დაკარგვა, რომელიც სახლის დანგრევასა და უსახლკაროდ დარჩენასთანაა შედარებული, ფიქრის, აზრის, რწმენის, მორალური ღირებულებების დაკარგვას ნიშნავს. ჩვენ

ამ სიმბოლოების მეოხებით დაცულად, უსაფრთხოდ, საკუთარ სახლში ვგრძნობთ თავს და მათი დაკარგვა გონებრივ და კულტურულ კრიზისს გამოიწვევს. ამიტომ სიმბოლოების მნიშვნელობა სულაც არ არის სიმბოლური. ის ჩვენს რწმენის სისტემას აყალიბებს და თან თავს უსაფრთხოდ გვაგრძნობინებს. ამრიგად ისლამთან დაკავშირებული ყველაფერი; სალაპარაკო ენა, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩაცმის სტილი, განვითარებული სტილი, მოდა, ქუჩები, სახლები, ქალაქები, სალოცავები, სალოცავებში არსებული ინტერიერი, ნიშან-თვისებები, სიმბოლოები, მოკლედ ეს ყველაფერი, მუსლიმობასთან ასოცირდება. ამრიგად ჩვენ ვსაუბრობთ ისლამურ ხელოვნებაზე, არქიტექტურასა და სხვა მსგავს სფეროებზე. ეს ყველაფერი მუსლიმების მიერ წარმოებული სიმბოლოებია. ამ ყველაფერს რელიგიური და კულტურული ღირებულებები გააჩნია. ამ ყველაფერს ტრადიციული და თანამედროვე ღირებულებები გააჩნია.

ასეთი დიდი მნიშვნელობის მქონე სიმბოლოების დაცვასთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ რომ თქვათ?

სინამდვილეში ყველა სიმბოლო ღირებულებების თვალსაზრისით თანაბარი არ

არის. მუსლიმების მიერ წარმოებული ყოველი სიმბოლო მათი მომავლის უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენს. ამიტომ, იაჰია ქემალის მიერ უსკუპში ეზნის გახსენება მხოლოდ ნოსტალგია არ იყო. მას გაახსენდა ის ხმა, რომელიც მის უსაფრთხოებას, პატიოსნებას, მშვიდობასა და ნათელ მომავალს ახსენებდა. ადამიანები სიმბოლოებს იცავენ და მათ ეს მიდრეკილება გააჩნიათ.

თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე პერიოდში ტრადიციული სიმბოლოების გაუფასურება ან სიახლეებით შევსება მიმდინარეობს. მაგალითად, მუსლიმები ვამბობთ „ალლაჰუ ექბერ“ და ეს ისლამის მნიშვნელოვანი ნიშანია. ის გამოხატავს ღმერთის განდიდებას და ამ სიტყვებით ჩვენ ვამბობთ, რომ ღმერთი დიადია. თანამედროვე პერიოდში ეს ფრაზა სხვადასხვა სიტუაციაში იქნა გამოყენებული და სხვადასხვა არასასიამოვნო მოვლენებს დაუკავშირდა. შესაბამისად მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში ამ ფრაზის გაგონებისას ზოგიერთ ადამიანს ძალიან მცდარი მოლოდინები ექმნება. ცხადია, რომ თანამედროვე მსოფლიოში სიმბოლოების წინააღმდეგ საკმაოდ სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს. სამწუხაროდ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში ისლამის სიმბოლოები ამგვარი დეფორმაცი-

ის საფრთხის წინაშე იქნა მიტოვებული. ისლამოფობია, სწორედ ამგვარი საწყისებიდან საზრდოობს. ისლამის სადა, უცოდველი სიმბოლოების დეფორმირებისთვის მრავალი მზაკვრული მცდელობა იქნა გამოყენებული. ისინი ცდილობენ შეურაცხყონ ქააბა, ყურანი, მინერეთი და მუსლიმებთან ასოცირებული სხვა სიმბოლოები. მათი დაკნინებისთვის კი სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ, კარიკატურები იქნება, ფოტოები თუ სხვა.

მაგალითად ავიღოთ ხმალი. ისინი შეეცადნენ ისლამი და ხმალი ერთ მთლიანობად წარმოეჩინათ და ასე ისლამის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების წარმოქმნა სცადეს. გამომდინარე აქედან ცხადია, რომ თანამედროვე ეპოქაში სიმბოლოებით და სიმბოლოებისთვის ბრძოლა უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ეს არის სხვადასხვა კულტურათა შორის ურთიერთშეტაკების პროცესი. ამ შეტაკებებში კი სიმბოლოების ნგრევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ასევე მათთვის დამახასიათებელი სიმბოლოები აქვთ ეროვნებებსაც. ერის სიცოცხლისუნარიანობისათვის ამ სიმბოლოებს დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ. მაგალითად დროშა ერთ-ერთი ასეთი სიმბოლოა. დროშა მხოლოდ ნაჭრისგან შეკერილი

ფერადი და ნახატებიანი საგანი არ არის. მის უკან საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ბრძოლები, თავისუფლება, შრომა და გმირობის ამბებია. ამიტომაა, რომ ის მთელი ერის ერთგვარი გამოხატულებაა. ის არის ერის ხასიათის გამომხატველი სიმბოლო.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ოლიგიური
სიმბოლო ეზანი

პროფ. დოქ. სონერ გუნდუზოზი

ადამიანს აუცილებლად უჩნდება კითხვა: „დროის ათვლა საიდან დაიწყო?“

სინამდვილეში, ამის გაგება ძალიან რთულია. მხოლოდ ქრონოლოგიური ხაზის გავლება შეგვიძლია. გამჩენმა ჯერ კიდევ ქვეყნიერების გაჩენამდე გაჩენილ სულებს ჰკითხა: „მე თქვენი გამჩენი არ ვარ?“ სულებმაც: „დიახ, მხოლოდ შენ ხარ ჩვენი გამჩენი“, -უპასუხეს. შემდეგ იყო არაფატი, პირველი სალოცავი ქააბა... ყოველი ადგილი ისტორიული მოწმეა კაცობრიობის მორწმუნეობრივი ცხოვრებისა. ამრიგად, დროის დასაწყისის მიგნება რთულია, მაგრამ სამაგიეროდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეზანი დროის მაჩვენებელი ღვთიური საათია. ეზანი, როგორც ყოველდღიური პროგრამა, ადამიანებს დღეში ხუთჯერ სულიერებით ავსებს. ეზანი აერიანებს და ერთიმეორეს აკავშირებს ყოველი დღის ყოველ საათს. ის ისმის დედამიწის სხვა-

დასხვა კუთხიდან დღეღამის ნებისმიერ დროს და დროსთან ერთად ადგილებსაც ერთიმეორესთან აკავშირებს. ამგვარად მექა მედინასთან, მედინა იერუსალიმთან, იერუსალიმი ისფაჰანთან, ისფაჰანი ბაღდადთან, ბაღდადი შამთან, შამი ჰალეპთან, ჰალეპი სტამბოლთან, სტამბოლი ლონდონთან არის დაკავშირებული. ეზნის საფარი ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ უბან-უბან ეფინება მთელ დედამიწას და მის ყოველწუთიერებას მოიცავს.

ეზანი უპირველესად ადამიანის გულს უკავშირდება. ეზნის სიტყვები და ტონალობა სიმბოლოებითაა დატვირთული. ჰადისებიდან ვიცით, რომ ისლამის მედინაში გავრცელების პირველ წლებში მორწმუნენი ბჭობდნენ, თუ როგორ მოეხმოთ მლოცველები. ამაზე ბევრი იფიქრეს აბდულლაჰ იბნი ზეიდმა, ჰზ. ომარმა და სხვებმა. ამ დროს ერთ-ერთ მორწმუნე მეგობარს ღვთით მოევლინა ის სიტყვები. რომლებიც ეზანშია გამოყენებული.

აბდულლაჰ იბნი ზეიდმა სიზმარი ნახა და ამ სიზმარში მწვანით შემოსილმა კაცმა მას აუხსნა თუ როგორ უნდა მოეხმოთ მლოცველები ნამაზზე. მანამდე მიმდინარეობდა ბჭობა და რამოდენიმე ვერსიაც კი არსებობდა. ზოგი ამბობდა, რომ ზარი დაერეკათ, ზოგი საყვირით ვაცნობოთ ხალხსო, ზოგი დროშის აღმართვის მომხ-

რე იყო. აბდულლაჰის სიზმრის მიხედვით კი ლოცვაზე მოპატიჟება სიტყვებით უნდა ყოფილიყო. აბდულლაჰი უთენია შუამავალთან მივიდა და თავისი სიზმარი მოუყვა. შუამავალმა დაუდასტურა, რომ მისი სიზმარი ჭეშმარიტი იყო და ლოცვად მოხმობის სიტყვიერად, დაძახების ფორმით დაკანონება დაადასტურა. შემდეგ ეს სიტყვები ბილალს შეასწავლეს და ბილალმაც მლოცველებს ხმამაღლა მოუწოდა. ეზნის გაგონებაზე ჰზ. ომარი სასწრაფოდ შუამავალთან მივიდა და დაიფიცა, რომ ზუსტად იგივე რამ ნახა სიზმრად. შუამავალი კმაყოფილი დარჩა და ღმერთს მადლობა შესწირა.

ამრიგად ეზანი მუსლიმებისთვის ნამაზისკენ მოწოდების ღვთიურ ძახილად იქცა. მორწმუნეებს ყოველ რელიგიაში ღვთისმსახურების შესასრულებლად სხვადასხვა ფორმით იწვევენ. ყოველი ფორმა კონკრეტული რელიგიის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას იძლევა. ღვთისმსახურებაზე დაძახება რელიგიური სიმბოლოა. ისტორიულად იუდაიზმის მიმდევრები მლოცველებს საყვირის საშუალებით ეხმიანებოდნენ. ქრისტიანები საამისოდ ზარს რეკავენ. ზოგიერთ რელიგიებში დოლს ან ცეცხლს იყენებდნენ. რაც შეეხება ეზანს, ის ამ ყველაფრისგან განსხვავდება და კონკრეტული სიტყვებისგან შედგება.

ეზანი თევჰიდით, ანუ ღმერთის დიდებით იწყება და ასევე ღმერთის დიდებით მთავრდება. მასში არის შაჰადა, სარწმუნოების საფუძველი. ეზანი ამბობს, რომ მუჰამმედი ღმერთის შუამავალია. ეზანი მორწმუნეებს ლოცვისკენ მოუწოდებს. ნამაზი გადარჩენაა, ამას ახსენებს ეზანი მორწმუნეებს. ეზანი ერთის მხრივ ნამაზის, ღვთისმსახურების დროის მოსვლას ამცნობს ყველას და მეორეს მხრივ რწმენის ფორმულას ახმოვანებს. ალლაჰუ ექბერ, ამ სიტყვების მნიშვნელობა ყველამ იცის აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით. ამ სიტყვების გაგონებაზე ყველა ხვდება, რომ ნამაზის დროა მოსული. სამყაროში უმცირესი ნაწილაკიც კი ამ ხმითაა გაჯერებული. ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ... ყველაფერს ეს ხმა მოიცავს. მუეძინის ხმას ქალაქები, ბუნება, ზღვები და მთები უერთდება. როგორც გაზაფხულზე იცის, თანდათან რომ იშლება ყვავილები, ეზნის ხმაზეც ისე იფურჩქნება ირგვლივ არემარე. ეზანი ხომ არემარის გაზაფხულია. ეზნის გაგონებაზე ზეციურ სურნელს ვყნოსავთ და სულიერ სიხალვათეს ვგრძნობთ. როდესაც უთენია ეზნის ხმა ისმის ღვთიური ნათელით ივსება ქალაქები, უბნები, ქუჩები, ადამიანები. ყოველ კართან თექბირი, ყოველ კუთხეში შაჰადა, ყოველ ყუჩაში სალამი... ნეტა ბილალი კითხულობს ამ ეზანს თუ იბნი უმმუ მექ-

თუმი? როცა სხეულები ჯერ კიდევ წევს და ისვენებს, სულები უკვე ფეხზე დგას და სიცოცხლე სიკვდილს სჭარბობს.

ეზანი დროსა და სივრცეს ერთიანად მოიცავს. ეზანის კითხვისას ყველა ადგილი თევჰიდის მადლით იმოსება. მინარეთები აღმართულა და იქიდან მომდინარე ხმა მლოცველებს მეჩეთებში აგროვებს. დღეში ხუთჯერ ქალაქის დიდი და შთამბეჭდავი მეჩეთებიდან, სოფლებში კი უფრო პატარა და მოკრძალებული მინარეთებიდან წამოსული ეზნის ხმა მლოცველებს ნამაზისკენ მოუწოდებს. ადამიანთა სულები ეზნის ხმაზე სმენად იქცევიან. ეზნის ხმაზე მთვლემარე სამყარო უმალ იფხიზლებს.

სინამდვილეში შუამავლის დროს ნამაზისკენ მოხმობის მეთოდებზე მსჯელობისას მხოლოდ ნამაზის დროის შეტყობინება არ ჰქონდათ მიზნად. აქ მნიშვნელოვანი იყო მუსლიმები ერთად, ერთიანად მისულიყვნენ მეჩეთებში და ერთად ელოცათ. გამომდინარე აქედან ეზანი არის მუსლიმების ერთიანობის, ერთად ცხოვრებისა და ერთსულოვნების მოწოდება. ისლამის ისტორიაში მრავლად არის მომენტები, როცა ეს ფაქტი გამართლდა.

ებუდ დერბა იხსენებს, თუ როგორი დარიგება მისცა შუამავალმა ერთ სოფლელ

კაცს: „თუ სოფელში სამი სახლი მაინც დგას, ეზანი უნდა იყოს და იქ მცხოვრებმა ადამიანებმა ერთად უნდა ილოცონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეშმაკი მოერევათ. შენ შენ უნდა იყო და ნამაზი ხალხთან ერთად ილოცე. ფარას ჩამოშორებული მგლის კერძი გახდება“ . (ებუ დავუდ, სალათ, 46)

ეზანი ისლამის ნიშანი და მუსლიმური რწმენისკენ მოწოდებაა. ეზანი ადასტურებს, რომ ერთადერთი ძალა და ავტორიტეტი ღმერთს ეკუთვნის და ისლამი ერთღმერთიანობის უბადლო მაგალითია. ეზანი ხუთი დროის ნამაზის, ასევე ჯუმისა და ბაირამის ნამაზების დროს მეჩეთში წასვლაა.

ეზანი ერთად შესრულებული ღვთისმსახურების დასაწყისია. ეზნის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მლოცველების ნამაზისკენ მოწოდებაა, მაგრამ მას აგრეთვე სხვა როლიც გააჩნია. ეზნით დასტურდება, რომ კონკრეტულ ადგილას მუსლიმთა საცხოვრებელია. ეზანი თავისუფლების სიმბოლოა, მუსლიმებისთვის განკუთვნილი თავისუფლების სიმბოლო. შუამავლის მეგობართაგან ენესი გადმოგვცემს: „როდესაც რომელიმე ხალხის წინააღმდეგ სალაშქროდ წავიდოდით, შუამავალი მაშინვე ბრძოლას არ იწყებდა, ჯერ დილამდე და-

ელოდებოდა და თუ ეზანს გაიგონებდა, იმ ხალხის წინააღმდეგ ომს აღარ იწყებდა.“ (მუსლიმ, სალათ 9)

ენესი სიტყვას ასე აგრძელებს: „ჰეიბერში წავედით. იქ ღამეში მივაღწიეთ. გათენდა, მაგრამ ეზნის ხმა ვერ გავიგონეთ. შუამავალი ცხენზე ამხედრდა. ხალხი ხელში კალათებით გამოვიდა. მათ უეცრად დაინახეს შუამავალი და მუჰამმედი და მისი ჯარი მოსულანო, დაიწყეს ყვირილი. შუამავალმა კი ბრძანა, რომ ჰეიბერი დაინგრეოდა და წყვდიადი ჩამოწვებოდა გაფრთხილებული ხალხის განდიადისა.“

ეზანი მორწმუნეთა ძალაა, რომელიც მტერს თავზარს სცემს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამავალი ბრძოლამდე ყოველთვის მშვიდობიან გზებს ცდიდა ხოლმე. ეზანი და მისი სიტყვები რწმენისკენ მოწოდების ერთ-ერთი გზა იყო. მოკლედ, ეზანი მთელი კაცობრიობისათვის მშვიდობისა და შემწყნარებლობის სიმბოლოა.

შუამავალი ეზანს, როგორც რელიგიურ სიმბოლოს, ისე განიხილავდა. შუამავალი ბრძანებდა, რომ ახალდაბადებულ ბავშვს ყურთან ეზანი უნდა წავუკითხოთ. შუამავალმა თავის შვილიშვილს, ჰასანს თავად წაუკითხა ეზანი. ეზანი ადამიანის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია. ადამიანი

დაბადებისთანავე ეცნობა ეზანს და სიკვდილამდე ესმის. ეზანი აკვნიდან საფლავამდე მუდმივად ადამიანის თანამგზავრია.

ეზნის კითხვისას ირგვლივ ყველაფერი სულიერების ნათელით სხივოსნდება. მთები, ქვები, ფრინველები, ყველაფერი ღმერთის განდიდებას იწყებენ. როცა ყველაფერი, სულიერი და უსულო სამყარო ეზნის ხმას უგდებს ყურს, ბუნებრივია ადამიანი მისგან გულგრილი ვერ დარჩება. შუამავალი ბრძანებდა: „ადამიანი, რომელიც ეზანს გაიგონებს და იტყვის: ამ უნაკლო მოწოდებისა და სალოცავი ნამაზის გამჩენო ღმერთო, უწყალობე მუჰამმედს უპირატესობა და სამოთხის გამორჩეული ადგილი, „მაყამი მახმუდ“, განკითხვის დღეს მე იმ ადამიანს შეღავათს გავუწევ“. (ბუჰარი, ეზან 8)

ყურანი ღმერთის ხსენებით იწყება, ნამაზი კი -ეზნით. ახალდაბადებული ბავშვის ყურთან ეზნის წაკითხვა მისი ცხოვრების ღმერთის სახელის ხსენებით დაწყებას ნიშნავს.

რამადანის თვეში მარხვის დასრულების მომლოდინე მორწმუნეები მინარეთებს უსმენენ, რათა იქიდან ეზნის ხმა გაიგონონ. ეზანი მარხვის შეწყვეტის გასაღები და მარხვის ბეჭედია. ეზანი ხვავი და

ბარაქაა, ხელახლა გაცოცხლებაა. ეზანი ესთეთიკური თვალსაზრისითაც უზადოა. ის ნაირფერადი ორნამენტებით დამშვენებული მეჩეთებიდან ადამიანთა გულებისკენ იკვლევს გზას. ის დიდი ისტორიული წარსულიდან მოდის, დიდი ცივილიზაციის ამბებს იტევს და დაფარული სამყაროდან საიდუმლოებებს გვიმხელს.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ჩვენი საერთო გული - მეჩეთები

დოქ. იაშარ იღით

დედამიწის ყველა მხარეში არსებობს სალოცავები, რომლებიც სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა მხრიდან წმინდა ადგილებად მიიჩნევა. დღეს, ქალაქებშიც და სოფლებშიც არსებობს სალოცავები, რომლებიც იქ მცხოვრებთა რწმენის გამოხატულების აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. სალოცავების შენების ტრადიცია და მისი წარსული დედამიწაზე მოვლენილ პირველ ადამიანამდე მიდის. გარდა ამისა, ყურანში ნაბრძანებია, რომ დედამიწაზე აგებული პირველი სალოცავი ქააბაა. ქააბას პირველ ამგებად შუამავალი ადამი ითვლება, ამდენად დედამიწაზე პირველი სალოცავის აგება დედამიწაზე მოვლენილ პირველ ადამიანს, შუამავალ ადამს უკავშირდება. წარმოგიდგენთ აიათს:

„უეჭველად, სამყაროსადმი ბარაქად და ჭეშმარიტ გზაზე დასადგინებლად უპირვე-

ლესი სახლი (სამლოცველო) სწორედ, რომ ბექაში (მექაში), იქნა აღმართული ხალხთათვის.

იქაა ცხადი სასწაულები , სადგომი იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია . ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო , უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა. (ალი იმრან 96-97)

აიათის შინაარსიდან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ სალოცავები არის განსაკუთრებული ადგილები, სადაც რწმენის საჭიროებისამებრ უნდა მივიდეთ, რადგან ისინია სიყვარულისა და გადარჩენის ადგილები. გარდა ამისა, მეჩეთებში არსებული ინტერიერი, მიჰრაბი, მინბერი და სხვა, ყოველგვარი უარყოფითის, ცოდვისა და ამბოხის წინააღმდეგ მიმართულ, ჯანსაღ დამოკიდებულებას გამოხატავს. აიათში იბრაჰიმის სადგომია ნახსენები. ჩვენ ვიცით, რომ შუამავალი იბრაჰიმი ერთღმერთიანობის მქადაგებელი, გამორჩეული შუამავალია. მისი გამორჩეული თვისებებიდან მთავარი ღვთისადმი ერთგულება, მინდობა და ურწმუნოების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა იყო.

სალოცავების ტრადიცია კაცობრიობის ისტორიაში ცივილიზაციისა და განვითარების მაჩვენებელია და ის, ასევე წარმოადგენს ინდენტიფიცირების საშუალებას. ამიტომაა, რომ ოდითგანვე ყველა რელიგია თავისთვის დამახასიათებელ, განსხვავებულ სალოცავებს აშენებდა. გარდა ამისა სალოცავების ტრადიცია ძირითადად აინც ადამიანთა რწმენას ეყრდნობა. ზოგადად, სარწმუნოება არის ღვთიურ გზავნილთა ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ბედნიერებას ისახავს მიზნად. თუ დავაკვირდებით კაცობრიობის განვითარებაში რელიგიას დიდი წვლილი მიუძღვის. სარწმუნოების მიზანი ბედნიერება მოუტანოს ადამიანს როგორც ამქვეყნად, ისე საიქიოში, რამოდენიმე ცენტრზე გადის და ამათგან ერთ-ერთი სწორედ, რომ სალოცავია. ისლამურ საზოგადოებაში შეიმჩნეოდა განაშენიანების განსხვავებული ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ქალაქის თუ დასახლებული პუნქტის ცენტრში მეჩეთი იყო, ხოლო მის მიმდებარედ ხდებოდა ინტენსიური განაშენიანება. ამასთანავე მეჩეთებს აშენებდნენ სახელმწიფო მმართველები და სხვა ლიდერები. თუ დავაკვირდებით დიდი მეჩეთების უმრავლესობა ისტორიული პიროვნებების მიერაა აგებული. ყოველ ქალაქში ცხოვრება მეჩეთის ირგვლივ ფართოვდებოდა. იქვე აკეთებდნენ ბაზრობებს, აბანო-

ებს, სხვა სავაჭრო ობიექტებს, ბიბლიოთეკას და სხვა.

ოსმალურ არქიტექტურაში დომინირებდა სტილი, რომლის მიხედვითაც მეჩეთთან განთავსებული იყო მედრესე და აბანო. ეს საკმაოდ ყურადსაღები და მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს არ იყო რიგითი არჩევანი ან რიგითი პროექტი. ამ ყველაფერს თან ახლდა როგორც ისტორიული ფონი, ისე კულტურული საფუძველიც.

აბანოს პოპულარობა იმის დასტურია, რომ ისლამი სისუფთავეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მედრესეები კი სწავლა-განათლებაზე მინიჭებული მნიშვნელობის მაჩვენებელია.

სალოცავი კი რწმენასა და ღვთისმსახურებაზე მინიჭებული მნიშვნელობის გამომხატველია. ისლამში სისუფთავე, განათლება და ღვთისმსახურება ის ძირითადი პრინციპებია, რაზეც ჩვენი სარწმუნოების ძირითადი მიზანი გადის. ბუნებრივია აქ მხოლოდ ფიზიკურად სისუფთავეზე არ არის მთავარი ორიენტირი. ფიზიკურთან ერთად სულიერი სისუფთავე უდიდეს მნიშვნელობას ატარებს. ჭეშმარიტი ცოდნა, ღვთისმსახურება, რწმენა და თაყვანისცემა მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურად

და სულიერად სუფთა ადამიანებში დაიდებს ბინას და განვითარდება. სადაც სულიერი და გონებრივი თვალსაზრისით შეუსაბამო გარემოა იქ ადამიანური ზნეობა ვერ განვითარდება. ღმერთი ბრძანებს:

„ჰეი, ადამის შვილნო! აიღეთ თქვენი მორთულობა ყოველ სალოცავთან, ჭამეთ და სვით, და არ გადახვიდეთ ზღვარს, უეჭველად, მას არ უყვარს ზღვარგადასულნი.“ (არაფ 31)

ოქრო, ფული, თანამდებობა და სხვა ამქვეყნიური ღირებულებები არაფერია ჭეშმარიტ ღირებულებებთან, რასაც ზნეობრივი სილამაზე ჰქვია. ღვთის წინაშე ყველაზე უპირატესი ყველაზე მეტად ღვთისმოშიშია.

„ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“ (ჰუჯურათ 13)

მეჩეთები ღმერთის სახლებია და ისინი, როგორც წესი, ქააბას ფილიალებს წარმოადგენენ. მორწმუნის მიერ სალოცავში

მისვლა და ამვდროულად ფიზიკურად სულიერად განწმენდილი ყოფნა უკიდურესად დიდ მნიშვნელობას ატარებს. მორწმუნე ასევე სუფთა უნდა დაუბრუნდეს საზოგადოებას.

ქააბა ერთი ღმერთის რწმენის ძეგლია. ჩვენ ერთ ღმერთს მივეკედლებით. ქააბას ირგვლივ ტავაფის დროს ღმერთისკენ მივისწრაფვით. ჩვენი მისწრაფება ჭეშმარიტების, სიყვარულისკენაა. იქ ყოფნისას ხან ერთგულებისა და მორწმუნეობის მაგალითი იბრაჰიმი ვხდებით, ხან კიდევ მინდობის მაგალითი ისმაილი. ხან კიდევ შვილისთვის წყლის მაძიებელი ჰაჯერი ვხდებით. ასეა, „ბეითულლაჰ“-ის ფილიალებად წოდებული მეჩეთები იგივე შეგრძნებას უნდა გვიტოვებდეს. ჩვენს ეპოქაში სულიერი და გონებრივი განვითარება, ამ ყველაფრის ადამიანური ცხოვრების ძირითად პრინციპად ქცევა, როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით დიდ საჭიროებას წარმოადგენს. მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ადამიანების მომრავლება კაცობრიობისთვის სერიოზული საფრთხეა. ჩვენ ყველანი ხშირად მოწმენი ვხდებით იმისა, თუ როგორ მარცხდება კაცობრიობა მატერიალური ღირებულებების წინაშე. ყოველდღიურად მატულობს ავტოსაგზაო შემთხვევები, ადამიანები სხვის ჯიბეში, სახლებში, საფუ-

ლეებში მიძვრებიან, სხვისი საკუთრების მითვისების გამო წარმოუდგენელ რისკებს სწევენ. ეს და მსგავსი შემთხვევები ცხადყოფს თუ რაოდენ ბევრი რამ დაკარგა კაცობრიობამ.

მეჩეთები ქალაქების, სოფლების და იქ მცხოვრები ადამიანების ვინაობას წარმოადგენს. ცად აწვდილი მინარეთები ქალაქებსა თუ სოფლებს სულ სხვა ესტეთიურ სილამაზეს სძენს. შუამავალი როგორც კი მედინაში ჩავიდა ქუბასა და მედინაში მეჩეთები ააგებინა. მინარეთებიდან წამოსული ეზნის ხმა ირგვლივ ყველაფერს და ადამიანებსაც ახსენებს, რომ ღმერთი ერთადერთია, დიადია და მუჰამმედი მისი ელჩია დედამიწაზე. ეს არ არის უბრალო, მარტივი ძახილი. იქნებ ჩვენ ვერ ვგრძნობთ ამ წყალობას. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ სამშობლოდან წასულ ადამიანებს როგორ ენატრებათ ეზნის ხმა. იმ ქვეყნებში, სადაც ეზნის ხმა წლების განმავლობაში არ ისმოდა და ეს აკრძალული იყო, წლების შემდეგ ისევ გაისმა და იქ მცხოვრები ადამიანების განცდები მოთხრობილია მრავალგზის. ის კაცობრიობისთვის მიმართვაა, მოწოდებაა. ბილალი ჰაბეშის მიერ შორეულ წარსულში წარმოთქმული ეს სიტყვები ჯერ კიდევ ჩვენს მინარეთებიდან ისმის.

ეზანი არის მოწოდება, რომელიც საკუთარ თავს გვაპოვნინებს და გაგვაცნობს. ლამაზად წარმოთქმული ეზანი, მორწმუნე იქნება თუ არა, ყველა ადამიანზე მოქმედებს.

მეჩეთები სწავლის, ცოდნის, აღზრდისა და მეცნიერების სკოლაა. მეჩეთები ყველა თავისი ატრიბუტით სასწავლებელს წარმოადგენენ. ჩვენ მეჩეთებში ვსწავლობთ რელიგიას, რწმენას, წესიერებას, მოკრძალებას, სიყვარულსა და პატივისცემას. ეს წმინდა ადგილები ღმერთთან შეხვედრის, სულიერ ატმოსფეროზე წვდომის სახლებია. ყველამ რომ მიგვატოვოს, ჩვენ ის მიგვიღებს, შეგვიფარებს და დაგვეხმარება.

muslim georgia

მეჩეთები ჩვენთვის მაკრო სამყაროა. მეჩეთში ღმერთის სახელის ხსენებით, მარჯვენა ფეხს შევდგამთ და ღმერთს ვევედრებით: ღმერთო, სიკეთის, წყალობისა და ბარაქის კარები გაგვიღე. ეს ნაბიჯი, როგორც წესი სიკეთისკენ გადადგმული ნაბიჯია. ეს არის ყურანის, რწმენისა და გამჩენისკენ გადადგმული ნაბიჯი. იქ ყოფნის დროს ცუდი სიტყვა არ დაგვცდება. იქ სულიერების ამაღლებას ვგრძნობთ. იქ არავის ვაწყენინებთ და ვცდილობთ ღმერთს გული გადავუშალოთ.

მეჩეთის ინტერიერიც სათითაოდ გზავნილს გვაწვდის.

მესჯიდი, ეს არის ამაღლება.

მეჩეთი შემკრებია. აქ ვიკრიბებით ფიზიკურად, სულიერად, ვედრებითა და ღვთისმსახურებით.

მიჰრაბი სიტყვა „ჰარბ“-იდან მომდინარეობს და ეს არის ადგილი, სადაც ყოველგვარ უკეთურობასთან ბრძოლა მიმდინარეობს.

მინბერი კი სემანტიკური კუთხით ცოდნის ნათელით შემოსვის ადგილია.

როდესაც მლოცველები მწკრივებად დადგებიან უფროსი, უმცროსი, მდიდარი, ღარიბი, მმართველი თუ მუშა ყველანი თანასწორნი არიან. ყველანი ერთ მწკრივად, დიადი გამჩენის წინაშე დგებიან, იხრებიან და ძირს ემხობიან. ფეხზე დგომა მორწმუნეთა სიმართლეს, ღირსეულ დგომას გამოხატავს. მოხრა და სეჯდე კი ღმერთის წინაშე მორწჩილების და თაყვანისცემის გამომხატველია. მლოცველთა მხრიდან ეს ყველაფერი ერთდროულად ხდება. ამგვარი ერთიანი მოქმედებები სოციოლოგიური თვალსაზრისით განხილვად ღირს. ერთად მოქმედების მნიშვნელობა, ერთიანობა, საზოგადოებისგან განცალკევების უარყოფა,

საზოგადოების ფეხის ხმაზე აყოლა და ყველას თანასწორობა ის მნიშვნელოვანი გზავნილებია, რასაც ერთად ლოცვა ამ მიმართულებით გვთავაზობს.

ყოველდღიურობისგან თავმობეზრებული და ამქვეყნიური ცხოვრებისგან მოტყუებული ადამიანები, ცოტა ხნითაც რომ იყოს შორდებიან გარესამყაროს და ღმერთის სახლად წოდებულ მეჩეთებში, ღმერთის წინაშე წარდგომის საშუალებას პოულობენ. იქ ყველა ღმერთს ევედრება. დარდიანები შვებას ითხოვენ, გაჭირვებულები ვალების გადახდას, ავადმყოფები ჯანმრთელობას და ა.შ. შემდეგ ყველანი ერთად „ამინ“ წარმოთქვამენ. დაბადებულები იქ ხვდებიან ერთმანეთს და გარდაცვლილებს იქიდან ამგზავრებენ. მეჩეთი ადამიანების საერთო გულია და თუ ამ გულში სიცოცხლე სუფევს, მაშინ ადამიანებიც და საზოგადოებაც ცოცხალია.

მეჩეთები ის ადგილებია, სადაც გულგატეხილი ადამიანები შვებას პოულობენ. მეჩეთის კარი ყველასათვის ღიაა, მიუხედავად ეროვნებისა, ეთნიკური კუთვნილებისა, პოლიტიკური შეხედულებისა თუ სხვა მსგავსი ფაქტორებისა. ეს არის ადგილი, სადაც გარდა ფიზიკურად ერთად ყოფნისა, ადამიანები სულიერ ერთიანობასაც ქმნიან. ღვთისადმი სიყვარული მისი გაჩენილების მიმართაც უნდა გაგვაჩნდეს.

ქააბა

ნეჯმეთთინ შაჰინლერი

ქააბა მსოფლიოში ცნობილია როგორც „ალლაჰის სახლი“ და ყოველწლიურად მის მოსალოცად მრავალი მომლოცველი ჩადის. ეს არის ყოველგვარი მატერიალურის მიტოვებისა და სულიერების წინა პლანზე წამოწევის ადგილი. ის შავ მოსასხამშია გახვეული და თეთრ ტანისამოსში გამოხვეულ მომლოცველებს ანდამატივით იზიდავს. მისი მიმზიდველობის გავლენის ქვეშ მყოფი მომლოცველები მის ირგვლივ ტრიალებენ. ეს არის წმინდა ადგილი, სადაც მომლოცველების უმრავლესობა ერთმანეთს ხვდება. დედამიწის ყოველი კუთხიდან სწორედ აქ მოდიან მომლოცველები. მომლოცველები „ლებბეიქ“ ძახილით, სინათლის ირგვლივ მოფარფატე პეპლების მსგავსად, მის ირგვლივ ტრიალებენ. როგორც დღის ნათელი ინთქმება ღამის წყვდიადში,მომლოცველთა ქათქათა ფერებიც ისე ერევა სიშავეს.

ქააბასკენ მისწრაფება ღმერთისკენ სწრაფვას ნიშნავს. ერთი ღმერთის რწმენისათვის აგებულ სალოცავში ღმერთის სიდიადეს გულით, გონებით, მთელი გრძნობით გრძნობ. თითქოს მაგნიტურ ველში მოხვედრილი რკინის ნამცეცი ხარ. თითქოს ცისკენ გაფრენილი მილიონობით თეთრ ფრინველთაგან ერთ-ერთი ხარ. მხოლოდ ღმერთს ხედავ. მხოლოდ ის არის. მის გარდა ყველაფერი მოჩვენებითია. ადამიანს ადამიანად სული აქცევს, რომელიც ღმერთმა შთაბერა. ეს სული სხეულისა და ცდუნებების ფარდის მიღმაა მომწყვდეული. ქააბას ირგვლივ ტავაფისას, თითოეულ წრეზე ამ ტყვეობის თითო ფარდა იხსნება, სულის შემბოჭავი სიბნელე იფანტება და სული თავისუფლდება. ათასობით ადამიანს შორის ქააბას ირგვლივ ტრიალისას ადამიანი გრძნობს რომ მხოლოდ ერთი წვეთია ზღვაში და ჭეშმარიტების ბედნიერებას ჩასწვდება.

ქააბა კუბის ფორმის შენობაა. მისი ექვსი „ზედაპირი“ ექვსივე მხარეს მოიცავს და უსასრულობას გამოხატავს. შავად შემოსილობა კი იმის ნიშანია, რომ ყველა და ყველაფერი, ადრე თუ გვიან უკანვე დაბრუნდება „ფარულ სამყაროში“.

„ყურანის მიხედვით ქააბა პირველი სალოცავია, რომელიც დედამიწაზე ერთი

ღმერთის რწმენის სადიდებლად აშენდა. „უეჭველად, სამყაროსადმი ბარაქად და ჭეშმარიტ გზაზე დასადგინებლად უპირველესი სახლი (სამლოცველო) სწორედ, რომ ბექაში (მექაში), იქნა აღმართული ხალხთათვის.“ (ალი იმრან 96)

ეს სალოცავი ცხად ნიშან-თვისებებს ფლობს და მასში შესული ყოველი მომლოცველი სიმშვიდეს ჰპოვებს.

„იქაა ცხადი სასწაულები , სადგომი იბრაჰიმის. და იქ ვინც შევა, დაცულია . ალლაჰი ავალდებულებს ადამიანს, ვისაც ძალა შესწევს, გაემგზავროს და მოინახულოს ეს სახლი. და ვინც უარყო , უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა. (ალი იმრან 97)

ქააბას საძირკველი შუამავალმა იბრაჰიმმა და მისმა ვაჟმა ჰზ. ისმაილმა აამაღლეს, ხოლო სალოცავის მშენებლობის დასრულების შემდეგ ხალხის ერთი ღმერთის რწმენისაკენ მოწოდებისა და ქააბაში სალოცავად მოწვევის ვალდებულებაც მათ ხვდათ წილად.

„და როცა იბრაჰიმი ამაღლებდა სახლის საძირკველს ისმაილთან ერთად, (ევედრებოდნენ): ღმერთო ჩვენო! მიიღე ჩვენგან, რამეთუ შენ ხარ, უეჭველად, ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე!“ (ბაქარა 127)

ქააბა აბრაამმა ააგო, მაგრამ ის იყო პირველი სალოცავი, რომელიც ღმერთის განსადიდებლად აიგო, ამიტომ მას „ბეითულლაჰ“ ანუ ალლაჰის სახლი ეწოდა. გარდა ამისა, ყურანში ქააბა ორი სხვადასხვა მნიშვნელობითაა ნახსენები. ერთი „ბეითულ ჰარამ“ ანუ სილამაზის სახლი და „ბეითულ ათიქ“ ანუ თავისუფლების სახლი.

ერთხელ შუამავალმა მეგობრებს ქააბა აჩვენა და უთხრა, რომ ის წმინდა სახლი იყო და პატივისცემას იმსახურებდა, ხოლო თქვენი ღირსება, სათნოება და ფასი უპირატესიაო. შუამავლის ეს სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ ნამდვილი ქააბა ადამიანის გულია. მევლანა ასე ამბობს:

„ქააბა ჰალილის მიერ აგებული შენობაა, ხოლო ნამდვილი ქააბა ადამიანის გული კი ღმერთის სახლი“.

ქააბას მოლოცა ანუ ჰაჯის შესრულება სავალდებულო ღვთისმსახურებაა და მორწმუნე თუ შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს ვალდებულია ქააბა მოილოცოს. ამ ჭეშმარიტებას ვინც უარყოფს და უგულებელყოფს უნდა იცოდეს, რომ „...და ვინც უარყო , უეჭველად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა. (ალი იმრან 97)

ჰაჯის სიმბოლური მნიშვნელობა

პროფ. დოქ. ბუნიამინ ერულ

ყოველ რელიგიას მისთვის მახასიათებელი რწმენა, ღირებულებები, ტერმინები და სიმბოლოები გააჩნია. ღმერთი ყურანში საფა და მერვეს შესახებ ბრძანებს:

„უეჭველად, საფა და მერვე ალლაჰის დადგენილი ნიშანთაგანია; და ვინც ჰაჯობა აღასრულოს ამ სახლში, ან უმრა შეასრულოს, ცოდვად არ ჩაეთვლება თუ გარს შემოუვლის ორივეს; და ვინც თავისი სურვილით სიკეთეს იქმს, ალლაჰი, უეჭველად, მადლიერია, ყოვლისშემძლეა!“ (ბაქარა 158) ასევე იხ. მაიდე 110, ჰაჯ 30, 32, 36.

წმინდა ტექსტის კითხვისას ჩანს, რომ იქ მრავალი შედარება, მინიშნება და სიმბოლური განმარტებებია. ასევეა რელიგიის პრაქტიკულ ნაწილშიც, სადაც მრავალი სიმბოლო, და წარსულთან დაკავშირებული რიტუალებია დამკვიდრებული. მაგალითად ჰაჯის დროს მომლოცველები ქაბას გვერდით მდებარე ორ მოკრძალებულ

გორაკს შორის სიმბოლურ რიტუალებს ასრულებენ. გარდა ამისა, ჰაჯი ისეთი ტიპის ღვთისმსახურებაა, სადაც სიმბოლური რიტუალები უხვადაა, ამიტომ ჰაჯის მნიშვნელობის გასაგებად და მის შინაარსშ ჩასაწვდომად ამ რიტუალების შესრულება აუცილებელია.

ჰაჯი ერთი შეხედვით სიმბოლური რიტუალების გახსენებაა, თუმცა, სინამდვილეში მასში არის მრავალი ერთიმეორისგან განსხვავებული მოქმედება, რომლებიც სულის წრთვნას უწყობს ხელს. ჰაჯის პროცესი სიმბოლოების რუკაა და ამ სიმბოლოების მნიშვნელობების ცოდნა აუცილებელია. ჰაჯი თავიდან ბოლომდე სიმბოლოებით დატვირთული ღვთისმსახურებაა. ტავაფი, საი, სატანის ჩაქოლვა, არაფატზე დგომა და სხვა, ყველა სიმბოლური ღვთისმსახურებაა.

ჰაჯი სულის ღმერთისკენ სწრაფვას განასახიერებს, ამიტომ მიზანი არა ქააბა, არამედ უსასრულობასა და სულიერ ატმოსფეროში გარდასვლაა. გარეგნულად თუ შევხედავთ ჰაჯის დროს შესრულებული ყოველი რიტუალი სიმბოლურ დატვირთვას ატარებს, მაგრამ ყოველ რიტუალში არის კონკრეტული მიზანი და მნიშვნელობა ჩადებული და ასევე ყველ რიტუალს აღმზრდელობითი და გამათვითცნობიერებელი მიმართულება გააჩნია. ჰაჯის დროს მის მნიშვნელობასა და ცოდ-

ნას ვინც ჩასწვდება, ჰაჯის სიბრძნეს ეზიარებიან და წარსულის შეცდომებისა და ცოდვებისაგან გათავისუფლებულნი, ცხოვრებას ახალი სიცოცხლითა და შემართებით უბრუნდებიან. ჰაჯი მომლოცველების ცნობიერებაში ხანგრძლივ ეფექტს მოახდენს და ადამიანებს დაეხმარება შეიცნონ საკუთარი თავი.

ჰაჯის რიტუალებში შესამჩნევია რიტუალების შვიდჯერ გამეორება. ისევ საფასა და მერვეს გორაკებს შორის შვიდჯერ მიმოსვლა გავიხსენოთ, ასევე ეშმაკზე შვიდი ქვის სროლა, ქააბაზე შვიდი წრის შემოვლა. ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად უფრო მეტი ტავაფი უნდა შევასრულოთ. საფასა და მერვეს გორაკებს შორის მანძილს შვიდჯერ სირბილით დავფარავთ, მაგრამ ჩვენი შვილების სიცოცხლის, მათი რწმენისა და სულიერების ამაღლებისათვის მთელი ცხოვრება სირბილი და მცდელობაა საჭირო,

ჰაჯის პროცესში განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევს წარსულში, ანუ შუამავალ აბრაამისა და შუამავალ მუჰამმედის დროში „დაბრუნება“. გარდა ამისა ეს არის აქ მიღებული ცოდნითა და სულიერი მდგომარეობით მომავლისკენ იმედიანი სვლა.

ჰაჯის შესასრულებლად მოსული მომლოცველები აქ მოსვლამდე ტოვებენ მათი

სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მაჩვენებელ ყოველგვარ ატრიბუტს, როგორიცაა თანამდებობა, წოდება, ინტერესები, ტანისამოსი, ფორმა, ჩინ-მედლები, სამკაულები, მაკიაჟი და სხვა. ყველა ისინი ორი სადა ნაჭრით იმოსებიან და ამით აჩვენებენ, რომ ღმერთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან. შესაბამისად იჰრამში შესვლა, უპირველეს ყოვლისა, ქონების, წოდების, მდგომარეობის, ყოველგვარი ამქვეყნიური უპირატესობების მიტოვებას და უგულებელყოფას და ამ წმინდა ადგილზე ყველას თანასწორად წარმოჩენას ნიშნავს. აქ არავის აქვს რამე განმასხვავებელი, სხვაზე უპირატესობის მოპოვების გამომხატველი რაიმე მატერიალური ნივთი. ამქვეყნიური სამოსი გახდილია, მხოლოდ ადამიანის პიროვნებაა წარმოდგენილი.

ჰაჯის დროს ადამიანები სიმბოლურად სუდარაში ეხვევიან და ღმერთის წინაშე წარსდგებიან. ეს არის სიმბოლური განკითხვის დღე. დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ცამოსული მომლოცველები, ყველანი თეთრ სუდარაში გახვეულები, თითქოს სიკვდილსა და მის შემდგომ ყოფას განასახიერებენ. იჰრამით სიკვდილს იგემებენ, არაფატზე ისევ აღსდგებიან და განიკითხებიან. შემდეგ ასეთი სულიერი მდგომარეობით ალლაჰის წინაშე წარსდგებიან. ისინი ცდილობენ სიკვდილამდე

გაიგონ სიკვდილი და იგრძნონ სულიერი გაცოცხლება.

ჰაჯერულ ესვედზე (ცნობილი შავი ქვა) მისალმება ღმერთზე მიცემული პირობის განახლებას ნიშნავს. ჯერ კიდევ სულების სამყაროში ღმერთზე მიცემული პირობის პრაქტიკული დადასტურებაა. ჰაჯერულ ესვედზე მისალმება ამ ფიცის განახლების და მისდამი ერგულად დარჩენის სიმბოლოა.

საფასა და მერვეს გორაკებს შორის მიმოსვლა სიმბოლური ძებნაა. ეს არის ძებნა,როგორც ჰაჯერი ეძებდა მაცოცხლებელ წყალს, რათა მცხუნვარე მზის ქვეშ უწყლოდ დარჩენილი შვილი გადაერჩინა. იქ მყოფი მომლოცველი ჰაჯერის როლს თამაშობს. მომლოცველი შვიდჯერ, ამ რიტუალის მნიშვნელობის შეგრძნებით, მთელი სულითა და გულით ეძებს სამშობლოში დატოვებული შვილებისთვის მაცოცხლებელ წყალს. ჰაჯერის ძებნის შედეგად ანგელოზმა ჯებრაილმა წყალი მოავლინა და ისმაილი გადარჩა. სწორედ ასე უნდა გადავარჩინოთ ჩვენი შთამომავლობა ზეცით მოვლენილი წმინდა წყლით, ყურანით. ამგვარი ფიქრითა და რწმენით გაკეთებული „საი“ თავის ძირითად მიზანს მიაღწევს. ამ რიტუალისთვის გორაკებს შორის შვიდჯერ გარბენაა საკმარისი, მაგრამ სინამდვილეში შთამომავლობის გადასარჩე-

ნად გზების ძიებას შვიდი, სამოცდაათი, შვიდასი და მეტი გადარბენა სჭირდება.

არაფატზე მდგომი მუსლიმი სხვებთან ერთად, ერთ ფორმაში გამოწყობილი, ამქვეყნიურის მიტოვებასა და განკითხვის მოლოდინში დგომას სიმბოლურად განასახიერებს. ის გრძნობს პასუხისმგებლობას და განკითხვის მნიშვნელობას. ის გრძნობს ღმერთის წინაშე წარდგომის მნიშვნელობას, ყოველგვარი ამქვეყნიური სიმდიდრის ამაოებას და ღვთისმოშიშობის უპირატესობას.

როგორც შუამავალი ბრძანებდა, ჰაჯი, ეს არაფატია. ეს არის სიკვდილის შემდგომი გაცოცხლება, განკითხვის დღეს უდიდესი სამსჯავროს წინაშე წარდგომამდელი ლოდინი, სიკვდილამდე სიკვდილი, განკითხვამდე საკუთარი თავის განკითხვა.

არაფატის მნიშვნელობას ვინც ჩასწვდება დიდ ცოდნას მიიღებს. არაფტია ის ადგილი, სადაც ადამიანებს საკუთარი თავის პოვნა შეუძლიათ.

„ვაქფე“ დგომას, ლოდინს ნიშნავს. არაფატზე დგომა ერთის მხრივ დედამიწაზე ფეხის დადგმას, ხოლო მეორეს მხრივ განკითხვის დღეს ღმერთის წინაშე წარდგომას გვახსენებს. დგომა ხანგრძლივია. დილიდან საღამომდე, მღელვარებით, შიშითა

და იმედით დგომა. ეს დგომა რწმენითა და იმედით გაჯერებული, მიზანმიმართული ლოდინია. ეს არის ღირსეული დგომა, რომლის დროსაც მთელი მუსლიმების ერთიანობა და თანასწორობაა წარმოჩენილი.

ეშმაკზე ქვების სროლა სიმბოლურად სატანის განდევნას ისახავს მიზნად. შუამავალ აბრაამს ეშმაკი გამოეცხადა და სატანა მასა და ღმერთს შორის ჩადგომას ცდილობდა. შუამავალმა ქვების სროლით განდევნა ის. ეშმაკზე ქვების სროლა ასევე ეშმაკთან ბრძოლას, მის მიერ შემოთავაზებული ცდუნებებისგან თავის დაღწევას გულისხმობს. გასროლილი ყოველი ქვა ეშმაკის, ცდუნებების და შეცდომების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ამ დროს უნდა ვიფიქროთ ყველაფერზე, რაც მორწმუნეობას, ღვთისმსახურებასა და ღირსეულად ცხოვრებას ხელს უშლის.

ჰაჯზე ყოფნისას მომლოცველი მსხვერპლს სწირავს. მსხვერპლის შეწირვა ერთის მხრივ მადლიერების გამოხატვაა, იმის გამო, რომ მომლოცველმა ესოდენ მნიშვნელოვანი ღვთისმსახურების, ჰაჯის შესრულება შეძლო, ხოლო მეორეს მხრივ ეს არის ეშმაკზე გამარჯვების აღნიშვნა.

როგორც რამადანის დასრულებას მორწმუნეები ბაირამით აღნიშნავენ, ისე ჰაჯის დასრულებისასაც მსხვერპლი იწირება და

ბაირამი იმართება. მოკლედ, მომლოცველი არაფატზე ცოდნას ეუფლება, მინაში სიყვარულს, ჯემერათში იმარჯვებს და მსხვერპლის შეწირვით ღვთისადმი თაყვანისცემასა და მადლიერებას გამოხატავს.

გამოსამშვიდობებელი ტავაფის დროს მომლოცველი ღმერთის წინაშე ფიცის განახლებისა და ამ ფიცის ერთგულად დარჩენის გადაწყვეტილებით ქაბას ემშვიდობება. მორწმუნემ უკვე ეშმაკი დაამარცხა, საკუთარი სულიერი მდგომარეობა აამაღლა, რწმენა და ფიცი განაახლა, ყოველგვარი ცუდი და ნეგატიურისგან განიწმინდა და ასე გულდამშვიდებული და ცოდვებისგან შემსუბუქებული ემშვიდობება ქაბას. ის უკვე განწმენდილი, სულიერად ამაღლებული, სიყვარულითა და ღვთისმოშიშობით აღვსილი, სუფთა გულით ემშვიდობება ქაბას. მომლოცველს ცრემლი ერევა და ხელახლა ხილვის იმედით გულაჩუყებული ემშვიდობება ქაბას.

საბოლოო ჯამში ამგვარი რწმენითა და ცოდნით შესრულებული ჰაჯი განახლება და ცვლილებაა. ადამიანი თითქოს ბურანიდან ერკვევა და მკვდარი სული ხელახლა სიცოცხლეს ჰპოვებს. ჰაჯის შემდეგ მორწმუნე უფრო მეტი ყურადღებით აკვირდება ცხოვრების გზაზე დადგმულ „საგზაო გამაფრთხილებელ ნიშნებს“ და ასე გააგრძელებს გზას.

ყველაზე დიდი შეხვედრა

დოქ. ექრემ ქელეშ

არაფატზე დგომა ყველაზე დიდი შეხვედრაა. მილიონობით მუსლიმი აქ იკრიბება, ღმერთს ახსენებს და მის წინაშე ვედრებას აღავლენს. მეორეს მხრივ ეს არის შუამავლის მიერ გამოსამშვიდობებელ ქადაგებაში გადმოცემული პრინციპებისა და ღირებულებების ირგვლივ შეკრება. შუამავალ ადამიდან დაწყებული შუამავალ მუჰამმედით დამთავრებული ყველა შუამავლის მიერ მოტანილი ღირებულებების ირგვლივ შეკრებილი მომლოცველები ყველა მორწმუნის სახელით დგებიან იქ.

მომლოცველების აქ დგომა შუამავლის მიერ გამოსამშვიდობებელ ქადაგებაში წარმოდგენილი პრინციპების მიმართ ერთგულების დადასტურება და ამის ღიად გაცხადებაა.

ისლამური ცნობების მიხედვით სამოთხიდან გამოძევებული ადამი და ევა სწო-

რედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს, არაფატზე. მათი სინანული ღმერთმა შეისმინა და ისინი აქ შეახვედრა. კაცობრიობის მამა და დედა აქ იქნენ შეწყალებულნი და ერთმანეთი იპოვეს, ამიტომ არაფატი და იქ დგომა მორწმუნეთათვის ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, არაფატი შუამავალ აბრაამისა და მისი შვილის ისმაილის სახელთან და მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ სწორედ აქ, არაფატზე, შუამავალ მუჰამმედის მიერ გამოსამშვიდობებელი ქადაგება იქნა წაკითხული.

გამოსამშვიდობებელი ქადაგებისას არაფატზე შუამავალთან ერთად ას ოცი ათასი მუსლიმი იდგა. ისინი შუამავალ მუჰამმედს უსმენდნენ და მის მიერ გამოსამშვიდობებელ ქადაგებაში გადმოცემული ღირებულებები გაიზიარეს. როდესაც შუამავალმა ჰკითხა მათ, ღვთით ბოძებული სარწმუნოება გადმოგეცით თუ არაო, ყველამ დაუდასტურა, დიახ, გადმოგვეციო. ამის შემდეგ იქ მყოფმა მორწმუნეებმა ამ ღირებულებების გავრცელება მთელ მსოფლიოში დაიწყეს.

შუამავლის გამოსამშვიდობებელი ქადაგება თოთხმეტი წლის წინათ იყო და დღეს ის ცნობილია, როგორც „ადამიანის უფლებების მანიფესტი“. ამ ქადაგებაში

ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით უპრეცენდენტო გზავნილები იყო. ამ ქადაგებით აიკრძალა ისეთი ცუდი ქმედებები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძვლიანად ძირს უთხრიდა. აიკრძალა მევახშეობა, შურისძიება, მიბარებული ამანათის მითვისება და სხვა. ამ ქადაგებაში ნათლად და კატეგორიულად გაცხადდა სიმართლისა და სამართლინობის პრინციპები, რაც საზოგადოებრივი წესრიგის საფუძველს წარმოადგენს.

აიკრძალა ამბოხი და ურთიერთდაპირისპირება. ადამიანთა სული, ქონება, გონება, შთამომავლობა, ნამუსი და ღირსება ხელშეუხებლად გამოცხადდა. გარდა ამისა, ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის რწმენის თავისუფლებაც იქ მდგომებს ეცნობათ, რათა შემდეგ კაცობრიობისათვის ეცნობებინათ.

მას შემდეგ ყოველ წელს, როგორც მაშინ, არაფატზე ისევ მოდიან მორწმუნენი, რათა შუამავლის მიერ გაცხადებული ღირებულებები ისევ მოისმინონ და მერე მთელ კაცობრიობას გადასცენ.

არაფატზე დგომა სწორედ ამ ღირებულებების გარშემო დგომას ნიშნავს. აქ დგომა არის ამ ღირებულებების ერთგულება და დარჩენილი ცხოვრების ისე გა-

ტარება, რომ ამ ღირებულებების დაცვასა და გავრცელებაზე ვიზრუნოთ. აქ მოდიან დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან. განსხვავებული ეროვნების, კანის ფერის, განსხვავებული სტატუსისა და მდგომარეობის ადამიანები, მაგრამ მათ აერთიანებთ საერთო რწმენა და ღირებულებები. ისინი აქედან მუზდელიფში მიდიან. ეს არის დიდი და მნიშვნელოვანი გადაადგილება, რადგან თვისობრივად არაფატზე მიღებული ღირებულებების კაცობრიობისთვის გადაცემას გულისხმობს. ეს არის გზა, რომლის გავლაც სიმბოლურად აღნიშნული ღირებულებების ადამიანებთან მიტანას ნიშნავს.

ღმერთი გაანათებს იმ ადამიანთა სახეებს, რომლებიც თავიანთ ცოდნას სხვებსაც გაუზიარებენ და ადამიანებში რწმენის გაღრმავებას შეეცდებიან. როგორც წყალი არ დაკარგავს გზას და ბოლოს მაინც იდენს, ისე ეს მასა აუცილებლად წაიღებს ამ ღირებულებებს და ადამიანებამდე მიიტანს.

ამ მოგზაურობისას მომლოცველებმა არ უნდა დაივიწყონ ღმერთის მიერ დადგენილი ნორმები. ყოველი ნაბიჯი და განცდა ამ ნორმების შესაბამისი უნდა იყოს. ბაყარას სურას 198-ე აიათში ღმერთი ბრძანებს: „ცოდვა არ გექნებათ, თუ ეძიებთ სარგებელს თქვენი ღმერთისგან. და როცა დაიძვრებით არაფატიდან , ახსე-

ნეთ ალლაჰი მეშღერი ჰარამთან (ქუზაჰის მთასთან). და გაიხსენეთ იგი, როგორ დაგადგინა ჭეშმარიტ გზას, თუმცა კი ადრე გზასამცდარნი იყავით თქვენ.“

მუზდელიფისკენ მიმავალი მომლოცველები გზად ეშმაკს სიმბოლურად ქვებს ესვრიან. ეს ნიშნავს, რომ ამ ღირებულებების ტარებისას შესაძლო წინააღმდეგობების დასაძლევად ისინი მზად არიან.

მომლოცველები მოგვიანებით ქააბასთან მიდიან და ტავაფს აკეთებენ. მომლოცველები ქააბას ირგვლივ ტრიალებენ და ეს ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან ყველაფერი მას შესწირონ. ქააბას ირგვლივ ტრიალი ასევე გულისხმობს იმ ღირებულებების ერთგულებასა და განხორციელებას, რაც არაფატზე მიიღეს. „ჰაჯერულ ესვედ“-ზე მისალმებით კი მომლოცველები კიდევ ერთხელ ადასტურებენ ფიცს, რომ ამ ღირებულებების ერთგულნი იქნებიან.

ამ დიდი შეხვედრის, ამ დიდი ერთიანობის, აქ მიღებული ცოდნისა და ღირებულებების მუდმივად დაცვა და სხვა ადამიანებისთვის გადაცემა უკიდურესად მნიშვნელოვანია. კაცობრიობას ისე სჭირდება ეს ღირებულებები, როგორც უდაბნოში დაკარგულ, წყურვილისგან ტუჩებდახეთქილ ადამიანს წყალი.

მსხვერპლი

დოქ. ულფეტ გორგულუ

„უთხარი: უეჭველად, ჩემი ლოცვა და შესაწირი ჩემი და სიცოცხლე და სიკვდილი ჩემი სამყაროთა ღმერთის, ალლაჰისთვისაა.“ (ენაამ 162)

ღმერთმა კაცობრიობის მამად და პირველ ადამიანად შუამავალი ადამი მოავლინა. ყურანში ასევე ცნობილია პირველი მსხვერპლის შეწირვის შესახებ, როცა ადამის ორმა ვაჟმა სათითაოდ შესწირა მსხვეპლი. ღმერთმა ერთის შესაწირი მიიღო, ხოლო მეორის კი-არა. ყურანში ნაბრძანებია:

„და ჭეშმარიტად, წაუკითხე შენ მაგათ ამბავი ადამის ორი ვაჟისა . ოდესღაც, მსხვერპლი შეწირეს ორივემ და შეწყნარებულ იქმნა ერთისაგან და არ იქნა შეწყნარებული მეორისაგან, და თქვა მან : „მე მოგკლავ შენ უსათუოდ!“ უპასუხა : „ალლაჰი მხოლოდ ღვთისმოშიშთაგან შეიწყნარებს.“ (მაიდე 27)

ასევე ყურანში მოთხრობილია მეორე ამბავი ღრმადმორწმუნე და ღვთისმოშიში ადამიანისა, რომელსაც შვილი არ ჰყავდა და დღენიადაგ ღმერთს შვილის გაჩენას ევედრებოდა. როგორც იქნა ზეციდან სასიხარულო ამბავი მოუვიდა, მაგრამ ამ ამბავს მძიმე გამოცდა ახლდა თან. ეს ღვთის საჩუქარი ისმაილი იყო. ზრდასრულობის ასაკს რომ მიაღწია მამამ უთხრა ისმაილს, რომ სიზმრად ნახა მისი მსხვერპლად შეწირვა. ისმაილმა უყოყმანოდ უთხრა მამას, რომ უნდა აღესრულებინა ის, რაც ებრძანა, თვითონ კი მომთმენთა და მიმნდობთა შორის იქნებოდა. ყურანში ნაბრძანებია:

„სწორედ მაშინ ვახარეთ მას ძე მორჩილი.

როცა მიაღწია მასთან ერთად სეირნობის ასაკს, უთხრა: „შვილო ჩემო, უეჭველად, სიზმარში ვიხილე, რომ მსხვერპლად გწირავდი. მაშ, გაიაზრე, აბა რას ჭვრეტ?“ მიუგო: „მამაჩემო! ჰქმენ რაც გებრძანა. მე მიხილავ მომთმენთაგან თუ იქნება ნება ალლაჰისა!“ (საფფათ 102)

მსხვერპლი აბრაამის ერთგულება იყო.

მსხვერპლი ისმაილის მინდობა იყო.

მსხვერპლი ჰაჯერისთვის ეს ორივე იყო.

იმ დღიდან მოყოლებული მსხვერპლშეწირვას ისლამში თავისი მნიშვნელოვანი

ადგილი უჭირავს. ის, მუსლიმობის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა, როგორც ცად აწვდილი მინარეთები და ამ მინარეთებიდან წამოსული ეზანი...

მსხვერპლშეწირვის დროს სამსხვერპლე პირუტყვის სისხლის გამოდინება აუცილებელია. თუმცა მხოლოდ მსხვერპლის დაკვლა შეწირვის ძირითადი მიზნის მისაღწევად არ კმარა. ამ დროს აბრაამის ერთგულება, ისმაილის მინდობა და მუჰაამედის სიყვარული უნდა წამოვწიოთ წინა პლანზე. მსხვერპლი, როგორც მარიამის, ღმერთზე შეწირვაა. მსხვერპლი სულიერად მაღალი ადამიანების გამოცდა იყო. მსხვერპლი საშუალებაა იმისა, რომ მსახური ჭეშმარიტ ღვთისმოშიშობას ეზიაროს. ღმერთს არ სჭირდება მსხვერპლის არც ხორცი და არც სისხლი. მსხვერპლი სულის ჭეშმარიტი განმგებლისადმი მიძღვნაა.

მსხვერპლის შეწირვა ჩვენი არსებობის სიბრძნეს გვაზიარებს. ის არის საშუალება ვიფიქროთ სიცოცხლესა და სიკვდილზე. შესაწირი პირუტყვისგან ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია. ადამიანის ცხოვრება ყოველი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის დროს სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე ყოფნას ნიშნავს. თუ ადამიანი ყოველი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვისას ღმერთთან ყოფნის განცდას ატარებს, ის ყოველ წამს დი-

ად გამჩენს მსხვერპლად უძღვნის თავს.

მსხვერპლის შეწირვა სიძუნწისგან განკურნების უებარი საშუალებაა. ის ჩვენს გულში შემწყნარებლობისა და ქვემოქმედების სურვილს ბადებს. ის გაცემას, გაზიარებას გვასწავლის. როდესაც ჩვენ არ გვშია, რამდენად გვესმის მშივრების მდგომარეობა? შუამავალი ბრძანებდა, თუ მეზობელს შია და თავად მაძღარს სძინავს, ჩვენიანი არ არისო. ეს მკაცრი განაჩენი რომ არ შეგვეხოს შესაწირი გვიშველის. რასაც გავცემთ ის მოგვერგება და არა ის, რასაც შევჭამთ. შეწირულს ვუნაწილებთ მეზობლებს, მეგობრებს, ღარიბებსა და უპოვართ. განკითხვის დღეს ასე ჩვენც დაგვეხმარება შესაწირი. ის დაგვეხმარება, ჩვენი გულწრფელი ღვთისმსახურება, ერთგულება, მინდობა და გავივლით „ბეწვის ხიდს.“

შესაწირის მეოხებით სულიერ განახლებას ვახდენთ. შესაწირი არ უნდა იყოს კოჭლი, ბრმა, ნაკლოვანი. სასურველია ჯანმრთელი პირუტყვი შეირჩეს. კი მაგრამ მსხვერპლის შემწირველი როგორი უნდა იყოს? ნუთუ მძიმე ცოდვებით დამძიმებული, არამი ლუკმით დაბრმავებული ხედვით, ცოდვებით დამძიმებული გულით, ცოდვილი ხელებით უნდა შესწიროს? არა! თუმცა, შესაწირი ცოდვებისგან განბანვის შანსს გვაძლევს. ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ ეს შანსი რიგიანად მოვიხმაროთ. თუ შე-

საწირი საუკეთესო უნდა იყოს, ჩვენც ვეცადოთ რომ საუკეთესონი ვიყოთ.

მსხვერპლის შეწირვა სიყვარულის გამოხატულებაა. ეს არის გამჩენთან სიახლოვის შეგრძნება. ყურანში ნაბრძანებია:

„და ვფიცავ, გავაჩინეთ ადამიანი და ვუწყით რას სჩურჩულებს მას სული (არსი) მისი და ჩვენ მასთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე აორტა!“

ყოველი ღვთისმსახურება ღირსეული მსახურებისა და საიქიო ბედნიერების მოპოვებისათვის საჭირო საშუალებებია. ღვთისმსახურების მიზანი დიადი ღმერთის კმაყოფილების მოპოვებაა. მსხვერპლშეწირვა კაცობრიობის ისტორიაში შეიძლება ითქვას ყველაზე ძველი ღვთისმსახურებაა, მაგრამ ის არასოდეს ძველდება. მსხვერპლის ფიზიკური მხარე შესაწირის სისხლის გამოდენაა, ხოლო სულიერი მხარე თაყვანისცემა. ღმერთო! მიგვიღე შენს ღვთიურ სასუფეველში. ამინ!

„უეჭველად, საფა და მერვე ალლაჰის დადგენილი ნიშანთაგანია; და ვინც ჰაჯობა აღასრულოს ამ სახლში, ან უმრა შეასრულოს, ცოდვად არ ჩაეთვლება თუ გარს შემოუვლის ორივეს; და ვინც თავისი სურვილით სიკეთეს იქმს, ალლაჰი, უეჭველად, მადლიერია, ყოვლისშემძლეა!“ (ბაქარა 158)